ჯიულოვანი

აჭარაზეობის სულიერებისა და კულტურის ცენტრის
საინფორმაციო ორგანო

№2 (63) მარტი-აპრილი 2013 წელი

წმ. დიმიტრი ყიფიანი

ქალთა დღის ეზოსკენ გაფრენილი ფანჯარა

წარსულში დაბრუნება...

ქართველის ეზოსკენ გაჭრილი ფანჯარა

„აფხაზი, რომელიც სახლს ააშენებს და ქართველის ეზოსკენ არ გაჭრის ფანჯარას, ის აფხაზი არ არის“, – თითქმის საუკუნის წინ უწერია ეს სიტყვები აფხაზ მწერალს დიმიტრი გულიას. აფხაზი საზოგადო მოღვაწე, რომლის შემოქმედებაც ქართული კლასიკური მწერლობის თანაზიარი იყო, ვინც „ვეფხისტყაოსანი“ უთარგმნა ქართველ ხალხს და შოთასეულ სიბრძნეს აზიარა, ვინც ილიას, აკაკის, ვაჟას, მამია გურიელის, სანდრო შანშიაშვილის და ქართული სიტყვის სხვა ქომაგთ თაყვანს სცემდა, ქართული ზეპირსიტყვიერი მოტივებით ამდიდრებდა საკუთარ შემოქმედებით ტალანტს, დღემდე რჩება ქართულ-აფხაზური კულტურული და უწინარესად პოლიტიკური ურთიერთობების განმსაზღვრელ ძალად. მის ბიოგრაფიას თვალს თუ გადავავლებთ, არცთუ უმნიშვნელოდ გვესახება ფაქტი, რომ დიმიტრი გულია სწავლობდა გორის საოსტატო სემინარიაში, ხოლო 1924-1926 წლებში აფხაზურ ენას ასწავლიდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. ყოველივე ეს კი, ჩანს, რამდენად დადებითად აისახა მის ცნობიერებაში. აფხაზი ხალხის უპირველეს ქომაგს, აფხაზური ანბანის, პრესის, თეატრალური დასის შემქმნელს, თვით „აფხაზეთის ისტორიის“ ავტორს ქართული საზოგადოება ყოველთვის, სიცოცხლეშიც და გარდაცვალების მერეც უდიდეს პატივს მიაგებდა.

აფხაზეთის ცნობილი მოვლენების შემდეგ, ქართველობის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ დიმიტრი გულიას და სხვა აფხაზ მოღვაწეთა მიმართ პატივისცემა და მოკრძალება არა თუ განელდა, პირიქით, გაორმაგდა კიდეც. ამის დასტურია, თუნდაც აფხაზეთის სულიერებისა და კულტურის ცენტრის არსებობა თბილისში, რომლის მისიაა შეინახოს, შეინარჩუნოს წმინდა აფხაზურ–ქართული კულტურულ ურთიერთობათა საგანძური, განამტკიცოს ან გაწყვეტილი კავშირები, აღადგინოს ორი ათეული წლის წინ გაწყვეტილი ლიტერატურულ–კულტურული სივრცე.

მეშვიდე წელია ქალბატონი სვეტლანა ქეცბას ინიციატივით სულიერებისა და კულტურის ცენტრი დიმიტრი გულიას საიუბილეო დღეებს აღნიშნავს. მიმდინარე წლის 22 თებერვალს აფხაზეთის ლიტერატურისა და ხელოვნების შემოქმედებითი კავშირის მიერ გამოცემული ანთოლოგიის „მცირე გულანი“ (პოეზია, პროზა) სარედაქციო ჯგუფს და ავტორებს მასპინძლობდა. მოგვეხსენება, „მცირე გულანი“ პირდაპირი მნიშვნელობით სეკლესიო, საღვთისმსახურო ორიგინალური ქართული კრებულია. სრული ლექსიკონური განმარტებით კი, „გულანი“ შენახულ, შეკრებილ, დაცულს ნიშნავდა ძველ ქართულში. დღეს ეს სიტყვა სასურველი წიგნის სინონიმადაა ქცეული. გადაუჭარბებლად უნდა ითქვას, რომ ამ ანთოლოგიაში წარმოდგენილი პოეტური და პროზაული ნაწარმოებები უთუოდ მეტად სასურველი განძია ქართული მწერლობის მოყვარულთათვის.

„არცთუ შორეული წარსულის გააზრებასთან ერთად, აქვეა ეგზეტენციალურ ლაბირინთებში მოხეტიალე, თანამედროვე ადამიანის გონებას ასხლეტილი რეალობის განცდა, რომელიც სულიერ კომფორტს თუ არა, განსაკუთრებულ განწყობას უდავოდ ქმნის“, –ვკითხულობთ წინათქმაში და მკითხველი თავად დაასკვნის, რომ აფხაზეთიდან დევნილ შემოქმედთა უმთავრესი თემა მაინც ტკივილია, მონატრებაა და მოლოდინი. ანთოლოგიის შექმნის ისტორიაზე და წიგნად გამოცემის აუცილებლობაზე ისაუბრა თავად რედაქტორმა, პოეტმა გენო კალანდიამ. გაიხსენა ქართველი და აფხაზი პოეტები, რომლებიც უკიდურესად დაძაბულ პოლიტიკურ ვითარებაშიც კი ცდილობდნენ ურთიერთ პატივისცემისა და სიყვარულის შენარჩუნებას. „მაგრამ რა ვუყოთ ამ გულს, რომელიც ველარ ივიწყებს ნოდარ დუმბაძეს“,–სინანულით იგონებდა აფხაზი პოეტის დარდიან სტრიქონებს...

პროფესორმა ოთარ ჟორდანიამ ისაუბრა დიმიტრი გულიას დღეების ისტორიულ მნიშვნელობაზე, „მცირე გულანის“, როგორც ერთ–ერთი გამორჩეული ანთოლოგიის მისიაზე– სრულფასოვნად წარმოჩნდეს აფხაზეთის ქართული მწერლობა. საღამოზე სიტყვით გამოვდნენ მწერალი ნანა ქარდავა, ისტორიკოსი ნუგზარ ანთელავა, აქვე იყვნენ პოეტი მანონ ბულისკერია და თათული რუხაძე, რომელთაც დიდი წვლილი მიუძღვით ანთოლოგიის გამოცემის საქმეში. ქალბატონ ლია სეხნიაშვილის ინიციატივით მოწვეული იყვნენ თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის სოლისტი ელენე ჯანჯალია და კონცერტმაისტერი ვიქტორია ჩაპლინსკაია. მათ მიერ წარმოდგენილ იქნა ქართველი პოეტების ლექსებზე შექმნილი რომანსები და საოპერო არიები. დიმიტრი გულიას საიუბილეო საღამოს უძღვებოდა ქალბატონი ციცინო ჯულუხიძე.

„სული საზღვარს გადასცდება ფრენით, ახლაც მახსოვს მისამართი შენი...“ – ტერენტი გრანელის პოეტურ სტრიქონებზე აჟღერებული აკორდები ლირიკულ განცდას სძენდა ყოველივეს. კედლიდან მომზირალი ორი დიდი აფხაზის – გიორგი შარვაშიძისა და დიმიტრი გულიას პორტრეტები კი კვლავაც ეხმიანებოდნენ ქართულ–აფხაზურ წარსულს, აწმყოს, დღევანდელობას.

დარიკო ფიფია

ცნობილი მევიოლინის მასტერ-კლასები

გადის წლები და სულ უფრო ძლიერდება ნოსტალგია ხალხზე, მიტოვებულ ადგილებზე, ყველაფერზე, რაც ცხოვრების აზრს წარმოადგენდა. ახლა საბერძნეთში ცნობილი მევიოლინე, პედაგოგი, მუსიკალური ცხოვრების (კერძოდ, არტისტული დირექტორი), უნივერსიტეტის მუსიკალური ფაკულტეტის დეკანი ალექსანდრე ხალაფსისი, რომელსაც მასპინძლობდა სულიერებისა და კულ-

(გაგრძელება მე-4 გვ.)

(დასაწყისი მე-3 გვ.)

ტურის ცენტრი, იგონებს სოხუმში გატარებულ ბავშვობის წლებს, სადაც მამამისი ვლადისლავი უკრავდა სახელმწიფო სიმფონიურ ორკესტრში და სადაც მამამისი და დედა ალა, პიანისტი, ქმნიდნენ განუმეორებელ დუეტს აფხაზეთის სახელმწიფო ფილარმონიაში. ცნობისმოყვარე, ნიჭიერი ბიჭუნა კარგად ახსოვთ მამამისისა და დედამისის კოლეგებს და თვითონაც მადლიერების გრძნობით არის გამსჭვალული ყველაფრისადმი, რაც მის არცთუ შორეულ წარსულს შეადგენდა.

2013 წლის თებერვალში თბილისში გატარებული დღეები დიდხანს ემახსოვრებათ ალექსანდრე ხალფისსა და მის სოხუმელ მეგობრებს, რომლებიც ამჟამად საქართველოს დედაქალაქში ცხოვრობენ. მას საინტერესო შეხვედრები მოვუწყვეთ თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიაში, თბილისის სიმფონიური ორკესტრის სამხატვრო ხელმძღვანელთან და თბილისის კამერული ორკესტრის ხელმძღვანელობასთან.

ნორჩი მუსიკოსებისათვის, რომლებიც დღეს სოხუმის მუსიკალურ სასწავლებელში (თბილისში) სწავლობენ და მათი პედაგოგებისათვის ამაღელვებელი და შემეცნებითი იყო მასტერ-კლასები, რომელიც დიდი მონდომებით ჩაატარა ალექსანდრემ. მეცადინეობებს ესწრებოდნენ სასწავლებლის დირექტორი დათო ოკუჯავა, პედაგოგები, მათ შორის სავიოლინო კლასის, აფხაზეთის სახელმწიფო ორკესტრის ყოფილი არტისტები: ალდონა კალანდაძე, მარინე დავითულიანი, ვაჟა ჩუბინიძე. ალექსანდრეს მიერ მიცემული მნიშვნელოვანი რჩევები დიდხანს ემახსოვრებათ მოსწავლეებს თათია ნიკოლაძესა და ლევან ჩხეიძეს.

სწრაფად გაირბინეს თბილისში ყოფნის დღეებმა ალექსანდრე ხალაფსისისა და მისი ახალი მეგობრებისათვის. არ შეიძლება არ შევაფასოთ თავად ფაქტი იმათი ურთიერთობისა, ვინც აფხაზეთის მუსიკალური საძმოს ხერხემალს წარმოადგენს, ვინც სულით ატარებს სიკეთეს, მშვიდობისმოყვარეობას და, ვინც ამჟამინდელი ურთიერთობების სირთულეების მიუხედავად, პოულობს საშუალებას შეხვდეს, უყვარდეს, ახსოვდეს ხელოვანის მთავარი დანიშნულება — ცხოვრებაში პოზიტიური საწყისის მსახურება. იმედი გვაქვს, რომ დადგება ის ბედნიერი დრო, როცა ყველა, ვისაც უყვარს ჩვენი ქვეყანა და ისწრაფის აღზარდოს ახალგაზრდა თაობა პროფესიონალიზმის საფუძვლებზე და სიყვარულისა და ძმობის სულით, აფხაზეთში შეიკრიბება.

გმადლობთ,
ალექსანდრე ხალაფსის!

სვეტლანა ქეცბა
საქართველოსა და
აფხაზეთის ხელოვნების
დამსახურებული მოღვაწე

წარსულში დაბრუნება...

8 მარტს ქალთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებას დავესწარი აფხაზეთის სულიერებისა და კულტურის ცენტრში, რომელსაც ქალბატონი სვეტლანა ქეცბა ხელმძღვანელობს.

მართალი გითხრათ, ყოველდღიური სამსახურებრივი რუტინით დაღლილს ნაკლებად თუ მიფიქრია, რა დამხვდებოდა იქ, ანკი როგორ გავიფიქრებდი, რომ დღეს, როდესაც არამომგებიანი, თითქოს დავიწყებული თემაა აფხაზეთი, ეს პატარა ლამაზი საღამო სულს შეძრავდა და ყველაზე შთამბეჭდავი დღის კვალს დატოვებდა.

საერთოდ ისეთი დიდი ტკივილია აფხაზეთი, მე მასზე არაფერს ვწერ. ყველა თავისებურად გამოხატავს ამ ტკივილს და მეც, ალბათ, არა ვარ გამონაკლისი, მაგრამ აქ ვერ გავჩუმდები. ძალიან ბევრ პრეზენტაციას თუ მოგონებებს დავსწრებივარ აფხაზეთის თემაზე, ძალიან ბევრი საღამოც ყოფილა, მაგრამ არც ერთს არ შეუძრავს ჩემი სული ასეთი სიძლიერით....

ალბათ, იფიქრებთ, რა მოხდა ასეთი იქ, ერთ პატარა ოთახში რუსთაველზე, სადაც ეს საოცარი ორგანიზაცია, საოცარი პატარა უჯრედი, უზარმაზარი სულიერებით ფუნქციონირებს.

არ ვიცი, შევძლებ კი იმის გადმოცემას, რადგან ყოველთვის მჯეროდა, რომ განცდილის ფურცლებზე გადატანა აფერმკრთალებს მოვლენებს, მაგრამ შევეცდები ის მაინც ვთქვა, რაც ხდებოდა...

არანაირი ოფიციოზი არ იყო... თითქოს შინაურ გარემოში ვისხედით ჩაითა და ტკბილეულით გაშლილ მაგიდებთან, საკმაოდ ცნობადი სახეები იყვნენ და ყველანი იხსენებდნენ მორიგეობით აფხაზეთს, ყველას ისეთი პირადი ისტორია ჰქონდა მოსაყოლი, რომელიც მხოლოდ მისი იყო და არც არსად დაუწერია ალბათ.... მონათხრობი ორი ერის უზარმაზარ სიყვარულს გამოხატავდა. უსმენდა ეს აფხაზი ქალბატონი ამ მონათხრობს, ვუსმენდი მეც და ვფიქრობდი, ნეტა ეს მთელ ქვეყანას ესმოდეს-მეთქი, ნეტა, რასაც ეს სითბო და ეს ტკივილი, აფხაზი და ქართველი ქალბატონების ერთად მოსმენილი თუ განცდილი იწვევს. ნეტა მთელი ქვეყანა ასე აზროვნებდეს-მეთქი... სულ უფრო მემატებოდა აღფრთოვანება, სულ უფრო მემატებოდა იმედი, რომ თუ ასეთი რამ აქ, ამ ოთახში შეიძლება, ესე იგი, იმედი არსებობს და მე, რომელსაც უკვე თითქმის არაფრის

მჯერა, მართლაც მივხვდი, რომ ეს ურთიერთობა ყოვლისშმძლეა....

თითოეული ამ ცენტრის ლამაზი სულის თანამშრომელი, ქალბატონები: ლია სეხნიაშვილი, ციცინო ჯულუხიძე, ნათია არქანია გვეფერებოდნენ სიტყვების გარეშე.

შესანიშნავი იყო მომღერალი მამუკა მანჯგალაძე და ბექა ჯავახიშვილისა და ვახტანგ ზეიკიძის ფოლკლორული დუეტი, საოცრად ნიჭიერად აჟღერებული ფანდურითა და სალამურით, რაც კიდევ უფრო ტკბილს და ამავდროულად მძიმეს ხდიდა ამ შესანიშნავ შეკრებას.

ბოლოსკენ თავი ვეღარ შევიკავე და როდესაც ქალბატონმა სვეტლანამ საჩუქრად მათი ცენტრის მიერ და უწმიდესის კურთხევით გამოშვებული წიგნი „უფალი სუფევს, მშვენიერება შეიმოსა“ გვაჩუქა ყველა მონაწილეს, რაღაც წარწერის გაკეთება ვთხოვე წიგნზე... მხოლოდ და მხოლოდ იმ მიზნით, რომ ეს მშვენიერი ქალბატონები, რომლებმაც უდიდესი ტრაგედიები გადაიტანეს, რომლებიც ჩემს თვალში გმირები არიან, ამ ტრაგედიის მიუხედავად დღეს ერთად იყვნენ. მინდოდა, ისინი დარჩენილიყვნენ მუდამ ამ წიგნის ფურცლებზე.

არ ვიცი, მადლობა ვუთხრა, თუ როგორ იქცვიან ამ შემთხვევაში. ვიცი, მადლობა ძალიან ცოტაა.

მოვდიოდი და ცრემლებს ვეღარ ვიკავებდი ემოციებისგან.... როგორ მინდოდა ისეთი ძლიერი ვყოფილიყავი, რომ ამ პატარა, საოცარი ორგანიზაციისთვის რაღაც ფინანსური დახმარება გამეწია, რომ მათ ასეთი საღამოების ხშირად გამართვა შეძლებოდათ და როდესაც გავიგე, რომ უსახსრობის გამო მათი შექმნილი 12-კაციანი ანსამბლიც კი ვერ შეინარჩუნეს, სულ საგონებელში ჩავვარდი...

ამაზე მნიშვნელოვანი საქმეები ნუთუ არსებობს, ნუთუ იმაზე დიდი საქმეებია ქვეყანაში, რომ აფხაზი და ქართველი ერის ასეთი სიყვარულის ხიდი, ასეთი ოაზისი არ იყოს ხელშეწყობილი.

სენტიმენტალური არ ვარ, მაგრამ რამდენადაც უცნაური არ უნდა იყოს, პირველად დავბრუნდი ჩემს სოხუმში, ჩემს აფხაზეთში იმ საღამოს, ისეთსავე ბედნიერ ქალაქში, როგორიც ის იყო ჩემს მეხსიერებაში.

მადლობა იმ საღამოს თითოეულ მონაწილეს და მადლობა, რა თქმა უნდა, ამ საღამოს იდეის ავტორს, სულისჩამდგმელსა და ორგანიზატორს, უდიდეს ქალბატონს, სვეტლანა ქეცბას, მადლობა ამ დაბრუნებისთვის...

სანამ თუნდაც ერთი ასეთი აფხაზი ქალბატონი იარსებებს, სანამ ერთი ასეთი საღამოს ჩატარების სურვილი იარსებებს, აფხაზეთი არასოდეს იქნება „სხვისი“.

გეფერებით, სიყვარულით და უდიდესი მოწიწებით, ქალბატონო სვეტლანა...

ნაზირა კაკულია
თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი, სოხუმის უნივერსიტეტის ყოფილი თანამშრომელი, ეკონომიკის დოქტორი

სვანური საგალობლების საღამო

წმ. გიორგი მთაწმინდელის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტისა და აფხაზეთის სულიერებისა და კულტურის ცენტრის თაოსნობით 15 მარტს საქართველოს საპატრიარქოს ტელევიზია „ერთსულოვნების“ დარბაზში მოეწყო სვანური მუსიკის საღამო, რომელშიც მონაწილეობდნენ ფოლკლორული ანსამბლი „კვირია“ (ხელმძღვანელი გურამ კვასტიანი) და ქართული საბრძოლო ხელოვნების წარმომადგენლები — „შავფაროსნები“ (ხელმძღვანელი ლაშა კობახიძე). საღამოს უძღვებოდნენ თბილისის წმ. ალექსანდრე ნეველის სახელობის ტაძრის წინამძღვარი დეკანოზი ბიძინა (გუნია) და ცნობილი პოეტი ერეკლე საღლიანი. ანსამბლმა შეასრულა სვანური საგალობლები, ხალხური სიმღერები, საცეკვაო ნომრები. „შავფაროსნებმა“ წარმოადგინეს ქართული საბრძოლო ხელოვნების სხვადასხვა ილეთი. დამსწრე საზოგადოებას მიესალმნენ და სვანურ ფოლკლორზე ისაუბრეს აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა, მწერალმა აკაკი (გასავ) გასვიანმა, ცნობილმა მსახიობმა რუსლან მიქაბერიძემ. მხიარული განწყობა შექმნა მსახიობმა და პაროდისტმა დათო როსტომაშვილმა. კონცერტს ესწრებოდა საფრანგეთის არმიის წარმომადგენელი ჟან ფრედ კრუზიარდი, რომელიც საქართველოში საგანგებო სიტუაციების მართვის ხაზით მუშაობს. მან აღფრთოვანება ვერ დამალა ქართული საბრძოლო ხელოვნებით, კუთხეების მდიდარი ფოლკლორით, რაც ადასტურებს, რომ საქართველო უძველესი კულტურის ქვეყანაა.

2013 – წმიდა თამარ მეფის სსეიეჯის წელი

„პირველად იყო სიტყვა...“

კოტე მაყაშვილი

„.. ყოველი საიდუმლო
ამას ენასა შინა დამარხულ არს“
იოანე ზოსიმე

თამარ მეფეს, თამარ წმინდას, თამარ შეგინიერს

ჩემმა ენამ რომ აფრქვიოს ალმასი და იაგუნდი,
რომ მოგიხმო, მოგიძველო ანგელოზთა მეუობრი გუნდი,
რაფაელის ღვთაებრივი ულალმიც რომ მოგიმარჯვო
რომ ბუნების სამსატვროსნე ფერთა ქმნაში გაგიმარჯვო
ვერ დაგსატო, ვერ გადიდო მესაფერად „შუქ-მფინარო,
თამარ წუნარო, მესაწუნარო, ხმა ნარნარო, პირმცინარო...“

***

ქება ხოტბა მე არ ძალმიძს... საიმისო ნიჭი არ მაქვს:
საქართველოს კაშანი მტკივნეულის გულით დამაქვს!
გესლიანი არის იგი ტვინში გველად შესიზნული
მის მოთხრობით სევდიანმა ვერ ვასარო შენი სული!
მოიღუშა, დაგვიბნელდა ცა, ელვარე და მცინარი.
ჩასვენებულს, ცხოველ მოფველს, მზეს დასტირის ჩვენი ნარი!
აღარ გვეევსარ, დიდო თამარ, მოგვარიდა ღმერთმა პირი,
აღარა გვაკვს მემგიდრენი: დაგვეხოცა ყველა ვირი!
საქართველოს ლაპმს სხეულს ნაქანდაკევს ნათალ ხელით,
სულდგმულს შენის მძლავრის სულით, მოსილს წმინდა
შუქ-ნათელით,
ბრძოლის ალში გამოწრთობილს, გაკაჟებულს, გარინებულს,
მუხთალ ბედის ჯადოქრობით ღონეშესიდილს, დამინებულს,
ტურა-მგელი დაეხვია!... ყველამ გაჭრა იმას კბილი,
გასწეწა და გამოსწეწა, გაიჩინა ლუკმა ტკბილი!
მის საშველად არვინ მოდის. არსადა სჩანს მისი მსსნელი...
მაფლეთილი მკერდის წელულით შადრევანობს სისხლი ცხელი!
არსად სჩანან მისი შვილნი, სიყვარულით რომ აღზარდა:
ლომბუმბერაზთ მოდგმა, ეჰა, დაწვრილმანდა, გადაგვარდა!
არას დავსდევთ, მშობლის განმი ვინ და როგორ გაიტაცა,
ჩვენი გრძნობა და ფონება... ნაცრის ქექამ გაიტაცა,
მის საშველად არვინ მოდის... ემატება ჭირსა ჭირი;
თამარ დიდო, თამარ ფმირო, დაგვეხოცა ყველა ფმირი!

***

სისხლის ზღვაში დაფცურავდით ფულგანაწონ, განფმირულნი,
ჯვარს ვაზისას ვიფარავდით თავდადებულ-განწირულნი,
ველურთ ურდომ არა ერთხელ ჩვენ სახლ-კარი დაგვიმეხა,
მაგრამ მაინც ლომის ფული, ოდნავაც ვერ გაგვიტეხა!
საუცხოო, დიად ტაძართ ფუმბათები ცას სწვდებოდნენ...
იქ ივერთა ლოცვის ხმანი ღვთის წინაშე არ სწყდებოდნენ...
იქ ისმოდა წმინდა მამათ აღმაფრენი ქადაგება,
იქ შეიქმნა ერის სულის ხელუქმნელი ქანდაკება!
დროთა ბრუნვის ქარიშხალმა ის ტაძრები დაგვინგრია,
ჩვენი სულის ქანდაკება გაგვითელა, დაგვიმსხვრია!...
შემოგვეჯრნენ ბარბაროსნი ჩვენივ ხელით ნაგებ ხიდით
და ერთს წუთში დაგვეკარგა, ათას წლობით რასაც ვქმნიდით!..
დაგვეფუპა ოფველივე... ჯვარი ვაზის ჩვენთვის ვასმა...
შეინილ ტაძართ კედელთ შორის აღარ ისმის ივერთა ხმა!
და გაურბის უფლის სახლსა დიდი, მცირე, კარგი, ცუდი...
იქ ვერაფის შეიტეუებ თუნდ შეუგდო მას შიგ ქუდი!..
ცას ვერ ასმენს თავის სევდას ერი ჩაგრულ დატანჯული,
თამარ მეფეე, თამარ წმინდავ დაგვეკარგა რწმენა, რჯული!..

***

დიდმა შოთამ, შენმა შოთამ, შენის ტრფობით მგოსნად ქმნილმა,
მზის სხივები მოგაფინა ენა მჭევრმა, ენა ტკბილმა.
ხორციელი სილამაზე შეუთანხმა სულიერსა:
შენი სახე ღვთაებრივი დაუხატა ქართველ ერსა!
სიყვარულის დიდი გრძნობა უფრო მეტჰყო, გაადიდა,
ფულთა ტრფობა ღრმა და წრფელი აუვაფილა და ადიდა!
ქვეყნიერმა ვხეპას მოაგლიჯა ხარბი თვალი და ნესტარი,
მიჯნურს, ტანჯვით განწმენდილსა, ბოლოს ასვა მან ნექტარი,
ქალის სახე შენს დროს, თამარ, მნათობივით აშუქებდა,
და რაინდი მოტრფიალე მშვენიერსა რას უქებდა;
სულსა სჰეტაკს, სინარნარეს, კდემა მოსილს ფულსა მთლიანს,
სიყვარულსა თავგანწირულს, ალერსს ტკბილსა, ნათელ მზიანს,
მიჯნურთ წესით ვაკაცისთვის ბევრი იო რამ საჭირო:
სიმამაცე და სიმტკიცე, საქმე დიდი და საფმირო;
ველად გაჭრა, თავის ფულში ღრმა ჩახედვა, ტანჯვად ქცევა,
ძორით ჭვრეტა, ძორით კვდომა, შორით ცხარე ცრემლთა
ფრქვევა!

ასე იო ღვთაებრივო, ეხლა ასე აღარ არი!
ვადაუწედა ბუსხედა ჩვენს ზნეობას წმინდა ფარი!
მიჯნურის და აფხორცისა შორის არ სჩანს უკვე ზღვარი,
აბობოქრდა თავაშეებულ გრძნობათ მღვრიე, მთვრალი ღვარი!
ქალის ტანი გაშიშვლა წამბილწველმა ენების თვალმა,
ასძგერა ლაფე ფული წუთიერმა ჟინის ალმა.
სიყვარული, ცით მოსსნილი, მჭკნარი დუქნის დახლზე გდია,
და მშვენების ტაძრის კარი ნადირთათვის არის ღია!
ჰე მგოსანო, არვინ ფიქებს ამგვარ ჰანგსა კადნიერო!
მიმინვდები მხოლოდ ძენა, თამარ ქალო, მშვენიერო!...

***

ასე არის!.. მაგრამ მაინც ფულს არ ვიტეხ მე და ველი!
ჩვენ სიცოცხლეს უდგას მცველად შენი საქმე და სახელი!
მიწის არ ხარ და მიწაში, მწამს, არცა ხარ დამარხული;
სულსა ფრმნეულს, მიცემულსა შენა ფმალავს ქართველის ფული!
და ეს ფული გაგაღვიძებს, აივსება ლომის ძალითა...
აბ, შენს მოსვლას ტრიუმფალურს უკვე ეხედავ მგოსნის თვალით:
მობრძანდება სხივოსანი, მომღიმარი, ლმობიერი,
მუხლმოდრეკით ფეგეებება აღდგენილი შენი ერი!
წინ მიგიძღვის ძლევის დროშა, უკან მოგდევს ფმირთა ჯარი,
მღვდელმთავრისა სულში ჰყვავის წმინდა ნიხოს ვაზის ჯვარი!
მზე დაჭსარის მთათა ფვირფვინს, ხაფერდოვან ბარს და მდელოს
ზღვიდან ზღვამდე ფრფვინავს: „ვაშა, თავისუფალ საქართველოს!“

ღვთიური მადლის შემოგრძანება

უწმიდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II ლოცვა-კურთხევით აფხაზეთის სულიერებისა და კულტურის ცენტრის მონაწილეობით გრძელდება აფხაზეთიდან დევნილი ოჯახების დალოცვა. 28 მარტს თბილისში, ქერჩის ქ. №6-ში მდებარე ყოფილი მსუბუქი მრეწველობის ტექნიკუმის შენობაში ჩასახლებულ 135 ოჯახს ეწვივნენ მოძღვრები: მამა დავითი (კონჯარია), მამა თომა (შენგელია) და მამა ნიკოლოზი (სხულუხია). მათ კომპაქტურ ჩასახლებაში ბიჭვინთის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ხატი მიაბრძანეს, გადაიხადეს პარაკლისი და აკურთხეს ოჯახები.

დევნილ მოზარდებთან შეხვედრა

წმ. სამების საკათედრო ლავრასთან არსებულმა ახალგაზრდობის სულიერი და ინტელექტუალური განვითარების ცენტრმა დაუნის სინდრომის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით აფხაზეთიდან დევნილ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოზარდებს უმასპინძლა. პროექტის ფარგლებში აფხაზეთის განათლებისა და კულტურის სამინისტროს ინიციატივით მოეწყო ფოტოგამოფენა, ხატვის პრაქტიკული სავარჯიშოები და მოზარდებს სამახსოვრო საჩუქრები გადაეცათ, ხოლო დეკანოზ ბიძინას (გუნია) თხოვნით მოზარდებს მარხვის, აღსარებისა და მაზიარებლობის შესახებ ესაუბრა წმ. სამების საკათედრო ლავრის მღვდელმსახური არქიმანდრიტი ალექსი (არაჩემია).

წმიდა დიმიტრი ყიფიანი (+1887) 14 (27) აპრილი

წმიდა დიმიტრი ყიფიანი დაიბადა 1814 წლის 14 (27) აპრილს გორის მაზრის სოფელ მერეთში ივანე ყიფიანისა და ბარბარე ფურცელაძის ოჯახში. დიმიტრი ტფილისში აღზარდეს ნათესავებმა, მარიამ ყიფიანმა და ნიკიფორე ფიოდოროვმა.

1830 წელს დიმიტრი ყიფიანმა ტფილისის კეთილშობილთა სასწავლებელი დაამთავრა და იქვე დაინიშნა მასწავლებლად.

ჭაბუკი დიმიტრი მონაწილეობდა 1820-1830-იანი წლების კულტურულ-საგანმანათლებლო პროცესში, რომელიც მიზნად ისახავდა ქართული კულტურის გამოცოცხლებასა და აღორძინებას.

დიმიტრი ყიფიანს სწორედ კულტურულ-საგანმანათლებლო ცხოვრების აღორძინება მიაჩნდა ქართველი ხალხის ეროვნული თვითშეგნების გამთლიანებისა და განმტკიცების საფუძვლად.

დიმიტრი ყიფიანი აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა 1832 წლის შეთქმულებაში. დოკუმენტებიდან ირკვევა, რომ იგი დაახლოებული ყოფილა შეთქმულების ორგანიზატორთა ჯგუფთან. შეთქმულებაში მონაწილეობის გამო დიმიტრი ვოლოგდაში გადაასახლეს და გუბერნატორის კანცელარიაში გაამწესეს.

1837 წელს დიმიტრი საქართველოში დაბრუნდა და სახელმწიფო სამსახურში ჩადგა. იმ დროს საქართველო რუსეთის იმპერიის ნაწილი იყო და ქვეყანაში ეროვნულ იდეებს დიდი გასაქანი არ ჰქონდა. დიმიტრიმ შეძლო მისი მაღალი თანამდებობები გამოეყენებინა ქვეყნის გაძლიერებისა და ეკლესიის აღორძინებისათვის. იგი სხვა ქართველ მამულიშვილებთან ერთად აქტიურად იბრძოდა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენისა და ქვეყანაში მართლმადიდებლური მსოფლმხედველობის განმტკიცებისათვის.

1845 წელს დიმიტრი ყიფიანი ნინო ჭილაშვილზე დაქორწინდა. ნინო, წმიდა სოლომონ მეფის მეუღლის, მარიამის მზრუნველობით იზრდებოდა პეტერბურგში. მათ ექვსი შვილი შეეძინათ, რომელთაგან სამი მცირეწლოვანი გარდაეცვალათ. დიმიტრი ყიფიანს დარჩა სამი შვილი: ნიკოლოზი, კონსტანტინე და ელენე.

წმიდა დიმიტრი ყიფიანის თანადგომითა და უშუალო მონაწილეობით იქნა დაარსებული: საჯარო ბიბლიოთეკა, პროფესიული ქართული თეატრი, ეროვნული ჟურნალისტიკა, ტფილისის სათავადაზნაურო-საადგილმამულო ბანკი, „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“ და მრავალი სხვა. გარდა ამისა, სხვადასხვა დროს, დიმიტრი ყიფიანი იყო ტფილისისა და ქუთაისის გუბერნიების თავადაზნაურობის წინამძღოლი და ტფილისის ქალაქისთავი.

დიმიტრი ყიფიანის შუამდგომლობით დაარსდა პირველი ქართული ჟურნალი „ცისკარი“. მანვე განსაზღვრა ჟურნალის თემატიკა, რომელიც ყველა კატეგორიისა და სოციალური ფენის მკითხველს ითვალისწინებდა. დიმიტრი ყიფიანს არ გამორჩენია მხედველობიდან სამშობლოს გარეთ მცხოვრებ ქართველთა ინტერესებიც. დიმიტრი ყიფიანის სამეცნიერო-ისტორიულ ნაშრომებში დამუშავებულია საქართველოს ისტორიის არაერთი საკვანძო საკითხი: ქართველთა ეთნოგენეზისი, სახელმწიფოებრიობისა და რელიგიის ისტორია, ისტორიული გეოგრაფიის ცალკეული საკითხები, ქართული დამწერლობის წარმოშობა-განვითარება და სხვა.

ეროვნულ საკითხში დიმიტრი ყიფიანისთვის ამოსავალი იყო დებულება, რომლის მიხედვითაც მხოლოდ ის ერი შეიძლება დაადგეს პროგრესის გზას, რომელიც აზროვნებს და მეტყველებს მშობლიურ ენაზე. მას შემდეგ, რაც სასწავლო დაწესებულებებში ქართული ენის დევნა-შევიწროების ტენდენცია გამოიკვეთა, დიმიტრი ყიფიანი კავკასიის ხელისუფლებას აშკარა ოპოზიციაში ჩაუდგა და არსებული სასწავლო-საგანმანათლებლო პოლიტიკის მწვავე და შეურიგებელი კრიტიკა დაიწყო: „მერე რა ენისას ამბობენ კაცობრიობის მგმობელნი, უნდა გაჰქრესო? იმ ენისას, რომელსაც ლაპარაკობდნენ ვახტან გორგასლანი, დავით აღმაშენებელი, თამარ მნათობი; რომელზედაც ქრისტიანობას გვიქადაგებდნენ მოციქულთა თანასწორნი და ათცამეტნი სირიელნი მამანი; რომელზედაც ჰმწერლობდნენ პოეტნი, როგორც შოთა რუსთაველი, ფილოსოფოსნი, როგორც პეტრიწი, სჯულისმდებელნი, როგორც ვახტანგ მეფე; რომელსაც აქვს ანბანი უმარტივესი და უბუნებითესი ყოველთა ანბანთაგან!..“ – წერდა დიმიტრი.

1886 წელს ტფილისის სემინარიის რექტორის ჩუდეცკის მკვლელობისათვის, საქართველოს ეგზარქოსმა პავლე ლებედევმა, ქართველი ერი ამბიონიდან დასწყევლა. როდესაც დიმიტრი ყიფიანმა ეს ამბავი შეიტყო, ეგზარქოსს ხაშურიდან დეპეშა გაუგზავნა, სადაც მოკრძალებით, მაგრამ შეუვალი პირდაპირობით წერდა: „...თუკი ეს ყველაფერი მართალია, თქვენი ღირსების გადარჩენა შეიძლება მხოლოდ იმით, რომ შერცხვენილი დაუყოვნებლივ განიდევნოს შეჩვენებული ქვეყნიდან...“ პრაქტიკულად

(გაგრძელება მე-8 გვ.)

(დასაწყისი მე-7 გვ.)

ყიფიანმა ეგზარქოსს საქართველოს დატოვება მოსთხოვა.

ამის გამო დიმიტრი თანამდებობიდან გადააყენეს და სტავროპოლში გადაასახლეს. გადასახლებაში ყოფნა დიმიტრი ყიფიანს დიდხანს არ მოუწია. 1887 წლის 24 ოქტომბერს იგი ვერაგულად მოკლეს. ღამით მის ოჯახში ჯალათი შეიპარა, თავში ურო ჩაარტყა და მოჰკლა. „ის ტვინი, რომელიც საქართველოზე ჰფიქრობდა, თავზე გადაანთხიეს... იმ გულზე, რომელიც სამშობლოსათვის სძგერდა, ცივი ხელები დააკრეფინეს“, – წერდა აკაკი წერეთელი.

„წმიდათა ცხოვრებანი“. წ. II. თბილისი, 2008

საეკლესიო კალენდარი

2 აპრილი (სამშ.) – მოწამე ფოტინეს ხსენება (დაახ. 66წ.);

3 აპრილი (ოთხშ.) – ღირსი იაკობ ეპისკოპოსის, აღმსარებლის ხსენება (VIII ს.) (პირველშეწირულის ლიტურგია);

5 აპრილი (პარ.) – ღირსი მოწამე ნიკონ ეპისკოპოსის და მისთა 199 მოწამეთა ხსენება (251წ.) (პირველშეწირულის ლიტურგია);

6 აპრილი (შაბ.) – ყოვლდაწმიდა ღმრთისმშობლის ხარების წინადღესასწაული (წმ. იოანე ოქროპირის წირვა);

7 აპრილი, დიდი მარხვის მე-3, ჯვრის თაყვანისცემის კვირა:

– **<u>ხარება</u>** ყოვლადწმიდისა ღმრთისმშობელისა (წმ. ბასილი დიდის წირვა. ხსნილი თევზით)

8 აპრილი (ორშ.) – კრება მთავარანგელოზისა გაბრიელისა;

10 აპრილი (ოთხშ.) – დიდი მარხვის განზოგება. წმ. იოანეს, მანგლელი ეპისკოპოსის ხსენება (1751 წ.) (პირველშეწირულის ლიტურგია);

12 აპრილი (პარ.) – წინასწარმეტყველ იოადის ხსენება (X საუკუნე ქრისტეს წინ) (პირველშეწირულის ლიტურგია);

13 აპრილი (შაბ.) – მიცვალებულთა ხსენება (წმ. იოანე ოქროპირის წირვა);

14 აპრილი, დიდი მარხვის მე-4 კვირა – ღირ. იოანე კლემაქსის ხსენება (649 წ.) (წმ. ბასილი დიდის წირვა);

17 აპრილი (ოთხშ.) – ღირ. იოსებ მგალობელის ხსენება (883 წ.);

18 აპრილი (ხუთშ.) – (ცისკარზე) ღირ. ანდრია კრეტელის დიდი კანონის კითხვა (პირველშეწირულის ლიტურგია);

19 აპრილი (პარ.) – წმ. ევტიქის (კონსტანტინეპოლის მთავარეპისკოპოსის) ხსენება (პირველშეწირულის ლიტურგია);

20 აპრილი, დაუჯდომლის შაბათი – ღვთისმშობლის დაუჯდომლის გალობა (წმ. იოანე ოქროპირის წირვა);

21 აპრილი, დიდი მარხვის მე-5 კვირა – ღირ. მარიამ მეგვიპტელის ხსენება (წმ. ბასილი დიდის წირვა);

23 აპრილი (სამშ.) – ქვაბთახევის მონასტერში წამებულთა მამათა და დედათა ხსენება (1386წ.);

24 აპრილი (ოთხშ.) – მღდელმოწამე ანტიპას ხსენება (დაახ. 68 წ.) (პირველშეწირულის ლიტურგია);

26 აპრილი (პარ.) – წმ. დიმიტრი ყიფიანის ხსენება (1887 წ.); (პირველშეწირულის ლიტურგია);

27 აპრილი, ლაზარეს შაბათი – ქებაი და დიდებაი ქართულისა ენისაი (წმ. იოანე ოქროპირის წირვა. ხსნილი თევზით);

28 აპრილი, დიდი მარხვის მე-6, ბზობის კვირა.

(წმ. იოანე ოქროპირის წირვა. ხსნილი თევზით);

<u>ვნების შვიდეული</u> (ორშაბათს, სამშაბათსა და ოთხშაბათს წაიკითხება წმინდა ოთხთავი)

29 აპრილი, დიდი ორშაბათი – (პირველშეწირულის ლიტურგია)

30 აპრილი, დიდი სამშაბათი – (პირველშეწირულის ლიტურგია)

---

1 მაისი, დიდი ოთხშაბათი – (პირველშეწირულის ლიტურგია)

2 მაისი, დიდი ხუთშაბათი – საიდუმლო სერობის ხსენება (წმ. ბასილი დიდის წირვა)

3 მაისი, დიდი პარასკევი – უფლის მაცხოვნებელ ვნებათა ხსენება (წირვას არ უჩენს, მძიმე მარხვა) 12 ვნების სახარების კითხვა

4 მაისი, დიდი შაბათი – (წმ. ბასილი დიდის წირვა)

5 აპრილი, კვირა, <u>**ბრწყინვალე აღდგომა იესო ქრისტესი**</u>

ჩვენი მოძღვარი

მართლმადიდებლური ჰასექი და საჰასექო წლის მიდენილობის საკითხი

საპასექო წელიწადი *არის პასქალია-კალენდრის წლიური ციკლის მოძრავი (ცვალებადი) წრე, რომლის მეშვეობითაც „მოძრავ“ დღესასწაულთა მონაცვლეობა რეგულირდება.* იგი მოიცავს დროის ინტერვალს აღდგომიდან მომდევნო აღდგომამდე და, პირობითად, სამ პერიოდად იყოფა: აღდგომიდან ყოველთა წმიდათა კვირიაკემდე (სულთმოფენობის შემდგომი კვირა); ყოველთა წმიდათა კვირიაკიდან მეზვერისა და ფარისევლის კვირამდე და მეზვერისა და ფარისევლის კვირიდან მაცხოვრის ბრწყინვალე აღდგომამდე. აღსანიშნავია, რომ სამივე ეს პერიოდი განსხვავებული ლიტურგიკული თავისებურებებით ხასიათდება.

საპასექო წლის მოდელირება რამდენიმე საკითხის დადგენას უკავშირდება, რომელთა შორის გამოვყოფდით **კვირის შვიდეულების კვირა და ორშაბათი დღით დაწყებას**.

კვირის შვიდეულები <u>*აღდგომიდან სულთმოფენობამდე*</u> **<u>კვირა</u>** დღით იწყება და შაბათით სრულდება, ხოლო <u>*სულთმოფენობიდან მომდევნო აღდგომამდე*</u> კი **<u>ორშაბათი</u>** დღით იწყება და კვირა დღით მთავრდება. შესაბამისად ამისა, ზატიკის პერიოდში აღდგომიდან სულთმოფენობამდე მეორე კვირას II შვიდეული მოსდევს, მესამე კვირას – III შვიდეული და ა.შ., ხოლო სულთმოფენობიდან პირველ კვირას – II შვიდეული, მეორე კვირას – III შვიდეული და ა.შ.

ზემოხსენებულ საკითხზე მსჯელობა თეოლოგიურ ასპექტებს უკავშირდება, რის გარეშეც ნაკლული წარმოდგენა შეგვექმნება საპასექო წლის მოდელირების პრინციპებზე და რაზეც შეძლებისდაგვარად ქვემოთ ვისაუბრებთ.

ა) კვირის შვიდეულების <u>**კვირა**</u> დღით დაწყება

ბიბლიიდან ცნობილია, რომ შესაქმეს პირველი დღე *კვირა* იყო, ხოლო მეშვიდე დღე – *შაბათი*. შემდგომად (ბიბლიური) მე-6 დღისა, ღმერთმა განასრულა რა *„საქმენი მისნი“* **(დაბად. 2. 2)**, აკურთხა... *„დღე მეშვიდე და წმიდაყო იგი, რამეთუ მას შინა დასცხრა ყოველთაგან საქმეთა მისთა“* **(დაბად. 2. 3)**. ამ მუხლების განმარტებისას **წმ. იოანე ოქროპირი** ბრძანებს, რომ: ***„...მეექვსე დღეს*** *(ბიბლიურ პარასკევს – დკ. ბ.გ.)* ***ღმერთი ქმნის რა ადამიანს, მეშვიდე დღეს განისვენებს, მომდევნო დღიდან კი*** *(ანუ კვირიდან — დკ. ბ.გ.)****, რომელიც კვლავ პირველია, იგი ყველა ქმნილებას დადგენილი წესით განუჩინებს სვლას“.***

სახარებიდან ვიცით, რომ მაცხოვარი ჯვარს ეცვა პარასკევს, ხოლო კვირა დღეს კი მკვდრეთით აღდგა. **წმ. იოანე ოქროპირის** განმარტებით: მაცხოვრის ***„...ჯვარზე ვნების დღე იმიტომაც იყო პარასკევი, რომ ამ დღეს*** *(ბიბლიურ მეექვსე დღეს, პარასკევს — დკ. ბ.გ.)* ***შეიქმნა ადამიანი, და აუცილებელი იყო, რომელ დღესაც დაეცა იგი, იმ დღეს მომხდარიყო მისი აღდგენა“.***

იგივე აზრია გატარებული **წმ. ეფრემ ასურის** სწავლებაშიც, რომელიც მიიჩნევს, რომ: ***„...მაცხოვრის აღსრულების*** *(ჯვარზე ვნების — დკ. ბ.გ.)* ***დღე ადამის დაცემის დღეს ეთანადება“.***

ზემოთქმულთან დაკავშირებით აღვნიშნავთ, რომ ხსენებულ წმიდა მამათა განმარტებით, ***<u>ადამის ცოდვით დაცემის დღედ პარასკევია მიჩნეული, და რომ ეს დღე (მისტიურად) უშუალო კავშირშია როგორც მაცხოვრის ჯვარზე ვნების, ასევე ბიბლიურ მეექვსე დღესთანაც</u>***. აქ იმასაც შევნიშნავთ, რომ წმიდა მამათა სწორედ ამ სწავლებას ემყარება **წმ. აბუსერიძე ტბელიც** (XIIIს.), რომელიც საუბრობს რა მაცხოვრის ცხოველმყოფელ ვნებაზე, ბრძანებს: ***„...და რომელსა დღესა ექსორია ვიქმნენით, მასვე დღესა*** *(იგულისხმება ვნების შვიდეულის პარასკევი — დკ. ბ.გ.)* ***ჯერიჩინა ხსნაი ჩუენი“***

და კვლავ **წმიდა იოანე ოქროპირის** სწავლებას მოვუხმობთ: *„...ამგვარად, მაცხოვარი ჯვარზე ევნო რა* ***პარასკევ*** *დღეს, აღასრულა ცოდვით დაცემული ადამიანის აღდგენა და მეშვიდე დღეს* ***– შაბათს*** *განისვენა, რადგან აღარ იყო დარჩენილი რაიმე საქმე, რომელიც დაცემული ადამიანის აღდგენისთვის იყო საჭირო“.*

შედარებისათვის კვლავ *ბიბლიურ* მეშვიდე დღეს – ***შაბათს*** გავიხსენებთ, როცა ღმერთი ***„...დასცხრა ყოველთაგან საქმეთა მისთა“.***

შემდგომად ამისა მოიწია <u>**კვირა**</u> დღე, დღე, რომლითაც აღმოგვიბრწყინდა ჩვენ ***„...ნათელი აღდგომისა,*** *და ეს ყველაფერი მოხდა (არა რაიმე შემთხვევით გარემოებათა გამო, არამედ — დკ. ბ.გ.) დროთა ნიშნების თანხვედრის, მათ შორის კავშირის გამო. სწორედ ეს დღე (კვირა — დკ. ბ.გ.) იყო ისევ* ***პირველი ყოველ დროთა*** *(დღეთა — დკ. ბ.გ.) შორის, რადგან, როგორც მაშინ, ამ დღეს (კვირას — დკ. ბ.გ.) იყო დასაწყისი (ქმნული — დკ. ბ.გ.) ნათლისა, ამჯერადაც* ***კვირა*** *დღე გახლდათ დასაწყისი სულიერი აღდგომისა“*; აღდგომისა, რომლითაც მორწმუნეებს აღმოუბრწყინდათ ***„...მარადიული“... „ნათელი დღე – პასექი საიდუმლო“...***

ამგვარად, ზემოთქმული წარმოაჩენს მიზეზს იმისა, თუ რატომ განაჩინა წმიდა ეკლესიამ აღდგომიდან სულთმოფენობამდე კვირის შვიდეულების **კვირა** ანუ ***„პირველი“, „მარადიული“, „ნათელი“*** დღით დაწყება, რათა მორწმუნეებმა გააცნობიერონ **საღმრთო განგებულების** ის საკითხები, რომლებიც მაცხოვრის ბრწყინვალე აღდგომასთანაა დაკავშირებული.

ბ) კვირის შვიდეულების <u>**ორშაბათი**</u> დღით დაწყება

აღდგომიდან სულთმოფენობამდე დროის ინტერვალისა და მისი შემდგომი პერიოდის ურთიერთმიმართების გარკვევისათვის განვმარტავთ, რომ ის, რაც აღსრულდა ადამიანთა ხსნისათვის – მკვდრეთით ***აღდგომა*** და ***ამაღლება, ადამიანურ ბუნებას,*** **დაცემული კაცობრივი ბუნების აღდგენას ეხებოდა,** ხოლო ყოველივე ის, რაც ***სულიწმიდის გარდამოსვლის*** **შემდეგ** ხდება ჩვენთვის (მართლმადიდებლური ეკლესიის საიდუმლოებებში მონაწილეობით)**, პიროვნებას ეხება და ადამიანის არჩევანზეა დამოკიდებული.**

სხვაგვარადაც ვიტყვით: წმიდა სამოციქულო ეკლესიის, როგორც ქრისტეს მისტიური სხეულისა და სულიწმიდის სამკვიდროს, დაარსების დღედ ***სულთმოფენობის*** **დღე** მიიჩნევა, რაც იმაზეც მიანიშნებს, რომ საღმრთო განგებულებით, ადამიანთა სულიერი აღორძინებისათვის სულიწმიდა ძესთან ერთად ***აღმშენებლობს***, რასაც მორწმუნენი ***განღმრთობისაკენ***, თითეული პიროვნების ღმერთთან შეერთებისაკენ მიჰყავს.

ზემოთქმულს **წმ. გრიგოლი პალამას** სიტყვებითაც გადმოვცემთ: ***„ამგვარად, სული წმიდა*** *(„სხვა ნუგეშინისმცემელი“ — დკ. ბ.გ.)* ***არა მხოლოდ მოივლინება, არამედ თვით წარმოგზავნის <u>ძეს, მამისაგან</u> წარმოგზავნილს, რითაც საჩინოვდება, რომ იგი თანაბარი ღირსებისაა და ერთარსია და თანაშემოქმედი მათი, და იგივე პატივის მქონე, რაც მამასა და ძეს აქვს.***

ამგვარად, <u>***სულთმოფენობა***</u> კაცობრიობისათვის (ვიდრე მეორედ მოსვლამდე) **საბოლოო მიზანია საღმრთო**

(გაგრძელება მე-10 გვ.)

(დასაწყისი მე-9 გვ.)

განგებულებისა დედამიწაზე. სწორედ ამიტომ, დედა ეკლესიამ სულთმოფენობის მომდევნო დღიდან – **ორშაბათიდან** – დიდი მარხვის მოსამზადებელ პერიოდამდე **(33÷38 შვიდეულის განმავლობაში), *წირვის რიგით სახარებათა განწესი დაადგინა***, რითაც ევქარისტიულ დროსა და სივრცეში მისი (სულთმოფენობის) განსაკუთრებული მნიშვნელობა გამოკვეთა.

მეტი სიცხადისათვის ყურადღებას დროისა და მარადისობის, წუთისოფლისა და საუკუნო ცხოვრების ურთიერთმიმართებაზეც გავამახვილებთ.

წმ. იოანე დამასკელის სწავლებით, **რიცხვი 7** ამქვეყნიურ, წარმავალ დროს ასახავს, ხოლო **მე-8 დღე** კი საყოველთაო მკვდრეთით აღდგომისა და საშინელი სამსჯავროს შემდგომ პერიოდზე, მარადიულობაზე მიანიშნებს. ამგვარადვეა წარმოჩენილი **მე-8 დღე წმ. გრიგოლი ღმრთისმეტყველისა** და **წმ. დიონისე არეოპაგელის** სწავლებებშიც. მათი განმარტებით, რიცხვი 8 მარადიულობის სიმბოლოა.

წმიდა მამათა ზემოაღნიშნული სწავლების ფონზე, რიცხვების 7-ისა და 8-ის სიმბოლური — მისტიკური ერთობა, მარადიულობასთან *ეკლესიის* უცილობელ კავშირს გამოხატავს, რაც იმაზეც მიუთითებს, რომ უფალი ეკლესიის წიაღში, ყოველი ადამიანის ხსნის გზას სახავს, თითოეულის ამ ქვეყანაზე მოვლინებიდან მათ აღსრულებამდე.

ამგვარად, *წუთისოფელსა* თუ *მარადისობაში* ქრისტიანული ცხოვრების საზრისი უფლისადმი თაყვანისცემასა და მისდამი დაუცხრომელ ლოცვა-ვედრებაში მდგომარეობს, მათ კი ერთურთისაგან სიკვდილის კარიბჭე ჰყოფს, რის გამოც *ერთგვარ მიჯნად* დროსა და მარადისობას შორის სულთმოფენობის მომდევნო დღე – ეკლესიის წიაღში საუკუნო ცხოვრებისათვის მზადების „დღე“ შეიძლება მივიჩნიოთ.

აღსანიშნავია ისიც, რომ „პარაკლიტონში“ ორშაბათ დღეს ზეციური სამყაროს მკვიდრთა – *ანგელოზთა* ხსენება აღესრულება, რაც ამ დღის მარადიულობასთან კავშირზე მიანიშნებს, ხოლო **წმ. გრიგოლი პალამა** (აღდგომისა და სულთმოფენობის დღეთა მსგავსად — დკ. ბ.გ.) მეორედ მოსვლის, საყოველთაო მკვდრეთით აღდგომის დღედ **კვირა** დღეს სახავს, რასაც **მომდევნო დღე**, მარადიული დღე – „ცხორებაჲ საუკუნოჲ “ მოსდევს.

ამდენად, ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, საცნაურდება კიდეც მიზეზი იმისა, თუ რატომ განაჩინა დედა ეკლესიამ ***სულთმოფენობიდან მომდევნო აღდგომამდე* შვიდეულების ორშაბათი დღით დაწყება.**

მაცხოვრის ბრწყინვალე აღდგომის დღესთან დაკავშირებული სწავლება უაღრესად ნათლადაა წარმოჩენილი **წმ. იოანე ოქროპირის** თხზულებებში, კერძოდ, მის ***შემაჯამებელ სიტყვაში წმიდა პასექის შესახებ.*** წმიდა მამა საუბრობს რა ზემომითითებულ საკითხზე, განმარტავს:

— მაცხოვრის ბრწყინვალე აღდგომის დღე ***„...არ მიეკუთვნება ერთ რომელიმე შემთხვევით დღეს, არამედ მისი აღნიშვნა ემთხვევა სწორედ იმ დროს, რომელიც რამდენიმე წინასწარ განსაზღვრულ ვადას აკმაყოფილებს“. „ეწადა რა*** *(ცოდვით დაცემული — დკ. ბ.გ.)* ***ადამიანის აღდგენა და მისი ხსნა...*** *(ღმერთმა ამისათვის — დკ. ბ.გ.)* ***სათანადო ხერხი და შესაბამისი დრო გამოარჩია. დრო იმისათვის, რომ დროულად შედგომოდა კურნებას, ხერხი კი ისეთი, რომელიც უმჯობესი იქნებოდა განწმენდისა და აღდგენისათვის“.***

სწორედ ამიტომ, ***„...ისურვა და ზუსტად ისევე, როგორც პირველი ადამიანის შექმნისას სუფთა*** *(თავდაპირველი, წმინდა — დკ. ბ.გ.)* ***დრო გამოიყენა,...“*** რომელიც ***„...შემდგომად ცოდვით დაცემისა შეიბღალა პირველ ადამიანებთან ერთად“.*** ყოველივე ამას უფალი გვიჩვენებს დროთა სხვადასხვა ნიშნებით, რისთვისაც ახდენს კიდეც მათ გაერთიანებას და, საღმრთო განგებულებით, როცა ***„...მოცემული შვიდეული*** *(იგულისხმება ვნების შვიდეული — დკ. ბ.გ.)* ***დროთა ნიშნებით სრულ თანხმობაში აღმოჩნდა ბიბლიურ შვიდეულთან, ანუ ერთ შვიდეულში კვლავ მოიყარა თავი დღეღამტოლობამ, საკვირაოს დროამ და მეექვსე დღემ – პარასკევმა... მხოლოდ მაშინ*** *(იუდეველთა პასექის დროს — დკ. ბ.გ.)* ***ევნება ჯვარზე... და აღასრულებს ცოდვით დაცემული ადამიანის აღდგენასა და განახლებას“.***

ამგვარად, ***„...მაცხოვარმა აღასრულა რა ჭეშმარიტი პასექი, ვნების შვიდეულში თავი მოუყარა ყველა ნიშანს და ვადას, რომელიც ახასიათებდა ბიბლიურ შვიდ დღეს, რათა ზუსტად აღედგინა ყველა გარემოება შესაქმისა. ჩვენ კი იმის გამო, რომ დროთა გაერთიანება ამგვარი სიზუსტით ყოველთვის არ ხდება, მხოლოდ ჭეშმარიტი პასექის მიბაძვით, ჩვენი შესაძლებლობების ფარგლებში აღვასრულებთ ხოლმე აღდგომის დღესასწაულს, რათა მივაღწიოთ გარკვეულ მსგავსებას მის პირველსახესთან – უფლის პასექთან“.***

წმ. იოანე ოქროპირი ეხება, ასევე, აღდგომის დღის გამოთვლის თარიღს, რომლის გათვალისწინებითაც მარტივად დავადგენთ ***პასექის უადრეს*** *და* ***უგვიანეს*** ვადებს.

— ამგვარად, თუ სავსემთვარობა **20 მარტს** (ანუ გაზაფხულის ბუნიობის თარიღ-ზე, 21 მარტზე ადრე) მოიწია, დავუტევებთ მას და მომდევნო სავსემთვარობას დაველოდებით, ხოლო თუ სავსემთვარობა **21 მარტს** ან მის შემდგომ უახლოეს დღეებში მოიწევა, მას ვღებულობთ. უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ სავსემთვარობისას არ უნდა იყოს **კვირა** დღე, ხოლო შვიდეულის სხვა დღე მისაღებია. მაშინ, ცხადია, რომ თუ **21 მარტს (დღეღამტოლობისას) სავსემთვარობა** (ანუ მთვარის მე-14 დღე) დადგება, და ეს დღე დაემთხვევა შაბათს, ქრისტიანული **<u>პასექის უადრესი თარიღი</u>** (მისი მომდევნო დღე) – **<u>22 მარტი</u>, კვირა დღე** იქნება.

ასევე, თუ მარტის სავსემთვარობა **19 მარტს** დაემთხვა, დავუტევებთ მას და დაველოდებით სავსემთვარობას, რომელიც **30 დღის** შემდეგ – **18 აპრილს** მოიწევა. ამასთან, თუ **18 აპრილი** (ანუ სავსემთვარობა) კვირა დღეს დაემთხვა, აღდგომის დღე მომდევნო კვირა – **<u>25 აპრილი</u> იქნება,** რომელიც არის კიდეც ქრისტიანული **<u>პასექის უგვიანესი თარიღი</u>.**

ამგვარად, აღდგომის დღესაწაული (ძვ.სტ-ით) 22 მარტიდან 25 აპრილის ჩათვლით მოიწევა, რაც სხვადასხვა კალენდარული წლისათვის *საპასექო წლის* ხანგრძლივობის განსხვავებულობას (ანუ დღეთა და კვირის შვიდეულების სხვადასხვა ოდენობას) განაპირობებს.

შედარებისათვის ვიტყვით: **კალენდარული წელიწადი** *უბრალო წელს* **365 დღე-ღამის,** ხოლო *ნაკიან წელს* **კი 366 დღე-ღამის** ტოლია, რაც, დაახლოებით, 52 შვიდეულს შეადგენს (365=52×7+1), სხვადასხვა *საპასექო წელიწადში* კი შვიდეულების ოდენობა 50-დან 55-ის ჩათვლით მერყეობს, და აი, რატომ:

მარტივი გათვლებით დგინდება, რომ თუ მაცხოვრის ბრწყინვალე აღდგომის დღე ქრისტიანული პასექის უადრეს ვადას – **22 მარტს** მოიწევა, მომდევნო წელს პასექი **11 აპრილს** აღინიშნება, რაც ***<u>საპასექო წლის</u>* <u>ხანგრძლივობას 55 შვიდეულით</u>** განსაზღვრავს, ხოლო თუ იგი ქრისტიანული პასექის უგვიანეს ვადას **25 აპრილს** დაემთხვა, მომდევნო აღდგომა **9 (ან 10) აპრილს** დადგება, რის გამოც ***<u>საპასექო წლის</u>* <u>ხანგრძლივობა 50 შვიდეულით</u>** განისაზღვრება.

აქვე დავძენთ, რომ *საპასექო წელიწადი* ოდენ ლიტურგიკულ დროსა და სივრცეში მოიაზრება და ღვთისმსახურებისაგან მოწყვეტით მასზე საუბარი ყოველგვარ აზრსაა მოკლებული, რაც თავის მხრივ თითოეული მორწმუნის გულისა და გონების მიწიდან მოწყვეტასა და მარადისობისაკენ მიქცევის საქმეს ემსახურება.

თბილისის
წმ. ალექსანდრე
ნეველის სახელობის
ტაძრის წინამძღვარი
დეკანოზი ბიძინა გუნია

ცნობილი მევიოლინის მასტერ-클ასები

ღვთიური მადლის შემობრძანება

სვანური საგალობლების საღამო



ISSN 2298-0865

ხიბული. ოვმჯნიბ ხიდი

სარედაქციო კოლეგია: სვეტლანა ქეცბა, დეკანოზი ბიძინა (გუნია),
ლია სეხნიაშვილი, ნოდარ სილაგაძე, ირინა ქეცბა
პასუხისმგებელი რედაქტორი ციცინო ჯულუხიძე

სსიპ „სულიერებისა და კულტურის ცენტრი“
მისამართი: თბილისი, რუსთაველის გამზ. №37, IV სართ. ტელ.: 293-17-20, 599-05-96-11. ტირაჟი: 500 ცალი